

ელენე პატარქალიშვილი

Erasmus+- ის გაცვლითი პროგრამის მონაწილე, ლუბლიანას უნივერსიტეტი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

„Erasmus+ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა სკოლის პერიოდშივე დავისახე მიზნად. კავკასიის უნივერსიტეტი ჩემი უდიდესი სურვილის სრულყოფაში დამეხმარა და საინტერესო, შრომატევადი 2 კურსის შემდეგ, მომეცა შესაძლებლობა, რომ სწავლა, ერთი სემესტრით, აბსოლუტურად განსხვავებულ გარემოში და ახალ ქვეყანაში, სლოვენიის დედაქალაქ ლუბლიანაში, გამეგრძელებინა.

ლუბლიანას უნივერსიტეტი, კერძოდ კი ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი, მისი წარმატების ისტორიითა და რეიტინგით გამოირჩევა. განსხვავებული სწავლის მეთოდებისა და სხვანაირი ცხოვრების წესის შეცნობა გაცვლითი პროგრამის უდიდესი ხიბლი იყო, რომელსაც თან სდევდა მოგზაურობა, ახალი ურთიერთობების დამყარება და შესაბამისად პიროვნული განვითარება.

სხვა ქვეყანაში ერთი სემესტრით წასვლა და დამოუკიდებელად ცხოვრება ჩემთვის ძალიან მარტივი და ბუნებრივი აღმოჩნდა, რაც ასევე კავკასიის უნივერსიტეტის თანაკურსელებისა და ახლა უკვე საუკეთესო მეგობრების იქ ყოფნამაც განაპირობა.

აკადემიურმა წინსვლამ და სლოვენიაში ცხოვრებით მიღებულმა გამოცდილებამ კიდევ უფრო ამიმაღლა მოტივაცია იმისა, რომ სწავლა საზღვარგარეთ გავაგრძელო, ხოლო მიღებული ცოდნით საქართველოში დავბრუნდე.”